# შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

დამტკიცებულია
შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის"
დირექტორის ბრძანება №6-ის დანართი №1

## შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის" შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2032 წ.წ.)

### შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის მისია

აკადემიის ხედვა :

აკადემია 2031 წლისთვის არის ქვეყნისა და აჭარის რეგიონის საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული დამოუკიდებელი, მრავალპროფილური პროფესიული განათლების დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხარისხის მდგრად გაუმჯობესებას.

აკადემიის მისია:
აჭარის რეგიონზე მორგებული და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების პოპულარიზაცია, ხარისხზე ორიენტირებული სერვისების გაწევა მომხმარებელთათვის.

# შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

აკადემიის ღირებულებები:

აკადემია ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და მისი საქმიანობა ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს:

**ობიექტურობა** - აკადემიის მიერ დადგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს აკადემიის საქმიანობაში ჩართული პირების მიუკერძოებლობას და იცავს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს;

**გამჭვირვალობა** - აკადემიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, აკადემიის მიერ დადგენილ წესებთან/ რეგულაციებთან, საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის;

**თანამშრომლობა** - აკადემია ღიად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან სიახლეების მისაღებად, წინადადებებისა და განსხვავებული პოზიციების შესაჯერებლად შესაძლო პრობლემების გადასაჭრის მიზნით;

**განვითარება** - აკადემიის საქმიანობის სისტემატიური შეფასება და შეფასების ანალიზის საფუძველზე განვითარების გზების დაგეგმვა.

ძლიერი მხარეები

- რადგანაც აკადემია ავტორიზაციის ეტაპზე იმყოფება, მნიშვნელოვანია ძლიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებიდან გაზიარებული იქნას ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის, პერსონალის მოზიდვის, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ორგანიზების პროცესები.
- აკადემიის დამფუძნებლებს გააჩნიათ ძლიერი და პირდაპირი კავშირები პროფესიული განათლებასთან.
- საქართველოს მთავრობის პირდაპირი ინვესტიციები პროფესიული განათლების განვითარების მიზნით;

სუსტი მხარეები

- დაწყებით ეტაპზე, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისას აკადემია შესაძლოა გარკვეული სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს.

# შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

განვითარების შესაძლებლობები

- აჭარის რეგიონში პროფესიული განათლების მოთხოვნა საკმაოდ დიდია. ბათუმის მდებარეობა ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტების მოზიდვის ფაქტორს;
- საქართველოს მთავრობა ქმნის შესაძლებლობებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციისათვი.

რისკები

- პროფესიულ დაწესებულებებს შორის მზარდი კონკურენცია.

სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნის მისაღწევი გზები, განსახორციელებელი ქმედებები, განხორციელების ვადები, განმახორციელებელი სტრუქტურები, შესრულების ინდიკატორები, მოსალოდნელი შედეგები

| მიზნის მისაღწევი გზები | ვადები | გასახორციელებელი ქმედებები | განმახორციელებელი სტრუქტურები | შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები |
|---|---|---|---|---|
| მზადება ავტორიზაციისთვის, თვითშეფასების წარდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. | 2026 | ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება. | დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელები | შესრულების კრიტერიუმები: თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოდულები. მოსალოდნელი შედეგები: წარმატებული ავტორიზაცია |
| სტრატეგიული მიზანი N1<br><br>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და დამსაქმებლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება | | | | |
| მიზნის მისაღწევი გზები | ვადები | გასახორციელებელი ქმედებები | განმახორციელებელი სტრუქტურები | შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები |
| 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარება და | მუდმივად | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის კონტროლი; სასწავლო პროცესის კონტროლი სასწავლო გეგმების შესაბამისად. | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის სამსახური | შესრულების კრიტერიუმები: სტუდენტების გამოკითხვები; მოსალოდნელი შედეგები: განახლებული საგანმანათლებლო პროგრამები და [illegible] |

| საგანმანათლებლო პროცესის განვითარება | | | | სწავლების თანამედროვე მეთოდები |
|---|---|---|---|---|
| 1.2. პროფესიული პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. | 2026 | სამაგიდო კვლევები | დირექტორის მოადგილე; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული მასწავლებლები | **შესრულების კრიტერიუმები:** შემუშავებული და ადაპტირებული პროგრამები **მოსალოდნელი შედეგები:** შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლო პროგრამები. |
| 1.3. სასერტიფიკატო , პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება, განხორციელება | 2027-2028 | პროგრამების ავტორიზაცია და განხორციელება | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები | **შესრულების კრიტერიუმები:** შემუშავებული და განხორციელებული პროგრამები; **მოსალოდნელი შედეგები:** მზარდი მოთხოვნები მომზადება-გადამზადების პროგრამებზე; |
| 1.4. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა | მუდმივად | აქტიურ სტუდენტთა წახალისების მექანიზმების შემუშავება; შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა | დირექტორის მოადგილე; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; | **შესრულების კრიტერიუმები:** აპლიკანტთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები **მოსალოდნელი შედეგები:** თანამედროვე სასწავლო მეთოდები და სასწავლო გარემო, გაზრდილია ინტერესი აკადემიისადმი. |
| **სტრატეგიული მიზანი N2** <br> **სტუდენტური სერვისების/ საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება** | | | | |
| მიზნის მისაღწევი გზები | ვადები | გასახორციელებელი ქმედებები | განმახორციელებელი სტრუქტურები | შესრულების კრიტერიუმები; მოსალოდნელი შედეგები; დოკუმენტები |
| 2.1.პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება | მუდმივად | სტუდენტების აკადემიის გარეთ მხარდაჭერა ახალი ინფორმაციითა და ახალი კავშირებით მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით | დირექტორის მოადგილე; პროგრამის ხელმძღვანელები; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების კოორდინატორი | **შესრულების კრიტერიუმები:** სტუდენტური გამოკითხვები, საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი მასალები. **მოსალოდნელი შედეგები:** მზარდი მოთხოვნა აკადემიისადმი აპლიკანტების მიერ |

# შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.2. პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება | მუდმივად | სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზება | დირექტორის მოადგილე; | **შესრულების კრიტერიუმები:** ღონისძიებების ამსახველი მასალები<br>**მოსალოდნელი შედეგები:** იზრდება საზოგადოებისა და სტუდენტების ნდობა აკადემიისადმი. |
| **სტრატეგიული მიზანი N3**<br>**ინფრასტრუქტურისა და პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება** | | | | |
| მიზნის მისაღწევი გზები | ვადები | გასახორციელებელი ქმედებები | განმახორციელებელი სტრუქტურები | შესრულების კრიტერიუმები;<br>მოსალოდნელი შედეგები;<br>დოკუმენტები |
| 3.1.პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა | მუდმივად | პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა მათი წახალისების გზით. | დირექტორის მოადგილე;<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | **შესრულების კრიტერიუმები:** წახალისების ამსახველი მასალა.<br>**მოსალოდნელი შედეგები:** სრული ინტეგრაცია საქართველოს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში. კოლეჯი აღიარებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით. |
| 3.2.ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა | მუდმივად | ადმინისტრაციული პერსონალი ხელშეწყობა მათთვის პროფესიული ტრენინგების უზრუნველყოფის გზით | დირექტორი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | **შესრულების კრიტერიუმები:** ტრენინგის მასალები და ტრენინგის მარდაჭერის მექანიზმები.<br>**მოსალოდნელი შედეგები:**<br>ადმინისტრაციული პერსონალის მაღალი სტანდარტები |
| 3.3. პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა. | მუდმივად | პროფესიული უნარებისათვის აუცილებელი სასწავლო და მატერიალური რესურსების განახლება | დირექტორი; მატერიალური რესურსების სამსახური<br>სასწავლო პროცესების მართვის სამსახური<br>პროგრამის ხელმძღვანელები<br>ბიბლიოთეკარი | **შესრულების კრიტერიუმები:**<br>განხორციელებული შესყიდვები, გაუმჯობესებული სასწავლო პროცესი<br>**მოსალოდნელი შედეგები:** განვითარებული ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიებით მხარდაჭერილი სასწავლო პროცესი |

## შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის სამოქმედო გეგმების შუალედური შეფასების რუკა

| სამოქმედო გეგმა | აქტივობები |
|---|---|
| ბრძანება შუალედური შეფასების შესახებ | უნდა ჩაიწეროს იმ აქტივობების შესახებ, რაც განახორციელა აკადემიამ შუალედურ შეფასებამდე. |
| ინდიკატორები | უნდა ჩაიწეროს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პერიოდი | შუალედური შემფასებლები აგროვებენ იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია სამოქმედოგეგმის კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის გრაფაში. შეგროვებული მონაცემების საფუძველზე კეთდება შეგროვებული ანალიზი შესრულების ინდიკატორთან (დამადასტრურებელი ფინანსური დოუმენტაცია, ანგარიშფაქტურები, პროცესის ამსახველი სურათები, დაკვირვების შედეგები და სხვ.) და შედეგს, რომელიც იკვეთება დოკუმენტებში, ადარებს შესრულების ინდიკატორში მითითებულს; |

## სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების რუკა

(2026-2032 წლები)

სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების რუკის მიზანია ნათლად აჩვენოს დაწესებულებას სად აქვს სუსტი წერტილი და საით მიმართოს ყურადღების კონცენტრაცია ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგისა და შეფასების რუკა ივსება ორ წელიწადში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.

| სტრატეგიული მიზანი N1 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და დამსაქმებლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება |
|---|---|
| აქტივობები: | 1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის განვითარება; |

| | |
|---|---|
| | 1.2. პროფესიული პროგრამების შემუშავება და განხორციელება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;<br>1.3. სასერტიფიკატო , პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება. განხორციელება;<br>1.4. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა. |
| ინდიკატორები | უნდა ჩაიწეროს სტრატეგიული მიზნის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პერიოდი | მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები აგროვებენ იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულებისინდიკატორის გრაფაში. შეგროვებული მონაცემების საფუძველზე აკეთებენ შეგროვებული მონაცემების ანალიზს შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში. მაგალითად, თუ შესრულების ინდიკატორი გვეუბნება, რომ კონკრეტული წლისთვის უნდა არსებობდეს ადაპტირებული გარემო |
| მონიტორინგის დასკვნა და შეფასება | |

ანგარიში N 1 სტრატეგიული მიზნის შესრულების შესახებ
(უნდა დაიწეროს სრული ანგარიში, სადაც დაწესებულების ყველა აქტივობაა განხილული, განსაკუთრებული კეთდება ხარვეზებზე, ხარვეზების გამოსწორების მიზნით რეკომენდაციების გაცემაზე)

| | |
|---|---|
| სტრატეგიული მიზანი N2 | სტუდენტური სერვისების/ საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება |
| აქტივობები: | 2.1.პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება;<br>2.2. პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება |
| ინდიკატორები | |
| მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პერიოდი | |
| მონიტორინგის დასკვნა და შეფასება | |

ანგარიში N 2 სტრატეგიული მიზნის შესრულების შესახებ
(უნდა დაიწეროს სრული ანგარიში, სადაც დაწესებულების ყველა აქტივობაა განხილული, განსაკუთრებული კეთდება ხარვეზებზე, ხარვეზების გამოსწორების მიზნით რეკომენდაციების გაცემაზე)

| | |
|---|---|
| სტრატეგიული მიზანი N3 | ინფრასტრუქტურისა და პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება |
| აქტივობები: | 3.1.პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა;<br>3.2.ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა;<br>3.3. პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა. |
| ინდიკატორები | |
| მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პერიოდი | |
| მონიტორინგის დასკვნა და შეფასება | |

ანგარიში N 3 სტრატეგიული მიზნის შესრულების შესახებ

(უნდა დაიწეროს სრული ანგარიში, სადაც დაწესებულების ყველა აქტივობაა განხილული, განსაკუთრებული კეთდება ხარვეზებზე, ხარვეზების გამოსწორების მიზნით რეკომენდაციების გაცემაზე)